სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *თამარ მაზანაშვილის* **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	23	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	23	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	17	20
პროფესიული თვისებები	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	10
პროფესიული აქტივობა	5	5
ქულათა ჯამი	88	100

სახელი გვარი ნ. ბ. ...

თარიღი: 04.07.2025 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

დიმიტრი გვრიტიშვილი

2025 წლის 4 ივლისი

სააპელაციო და რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე ჩატარებულ კონკურსში (გამოცხადდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - „საბჭო“) 2025 წლის 25 ოებერვლის №1/23 განკარგულებით) მონაწილე კანდიდატის - **თამარ მაზანაშვილის** (შემდგომში - „კანდიდატი“)

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:

„კანდიდატის“, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატის წინამდებარე შეფასება განხორციელებულია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - „კანონი“) 35[1] მუხლის მე-15-მე-16 პუნქტების შესაბამისად და იგი ეფუძნება „კანონის“ 34[2] მუხლით დადგენილი წესით „საბჭოს“ შესაბამისი სამსახურის მიერ „კანდიდატის“ შესახებ მოპოვებული ინფორმაციის, აგრეთვე - „კანონის“ 34[1] მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით „კანდიდატის“ საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის დეტალურ ანალიზს.

2. ინფორმაცია „კანდიდატის“ შესახებ:

2.1. „კანდიდატი“ 33 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (სამართლის მაგისტრი, თსუ). სპეციალობით მუშაობს 9 წელია, კერძოდ: 2015-2018 წლებში იყო თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის მდივანი; 2018 წლიდან

მუშაობდა საერთო სასამართლოების სისტემაში, სხვადასხვა პოზიციაზე; 2023 წლიდან ჩაირიცხა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში (შემდგომში - „სკოლა“) მსმენელად.

2.2. „კანდიდატის“ შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებშიც რეკომენდატორები „კანდიდატს“ ძირითადად დადებითად ახასიათებენ.

2.3. „კანდიდატი“ სარგებლობს სოციალური ქსელებით; მის შესახებ ინტერნეტ-სივრცეში არ არის ხელმისაწვდომი რაიმე სახის ინფორმაცია. „კანდიდატი“ არ ყოფილა/არ არის რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი.

2.4. „კანდიდატს“ სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება; აქვს მიმდინარე სესხები და დადებითი საკრედიტო ისტორია. „კანდიდატის“ საკუთრებაში არ არის რეგისტრირებული რაიმე ქონება.

„კანდიდატი“ მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის; თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონაცემები შესაბამისობაშია სახელმწიფო რეესტრების მონაცემებთან.

2.5. „კანდიდატს“ წარსულში რაიმე სახის პასუხისმგებლობა არ დაკისრებია.

2.6. „კანდიდატი“ სასამართლოში მხარედ ან დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა.

2.7. „კანდიდატი“ იშვიათად მონაწილეობს პროფესიული წვრთნის ღონისძიებებში.

2.8. „კანდიდატს“ ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა (სისხლის სამართლის სპეციალიზაციით; ქულები: 91/15).

2.9. „კანდიდატი“ ეწევა პედაგოგიურ/სამეცნიერო საქმიანობას: 2025 წლის გაზაფხულის სემესტრიდან არის მოწვეული ლექტორი თსუ-ში, სემინარის ხელმძღვანელი სისხლის სამართლის მიმართულებით; გამოქვეყნებული აქვს სტატიები შემდეგი თემებით: „ქალთა ადრეული და იძულებითი ქორწინება“;

„ფემიციდი, როგორც გენდერული ნიშნით ქალთა მკვლელობა"; „ოჯახში ძალადობის ზოგიერთი პრობლემატური საკითხი (შედარებით სამართლებრივი ანალიზი)".

2.10. „კანდიდატი" არის „სკოლის" XVIII ჯგუფის მსმენელი (რიგითი ნომერი ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში: 5). მის შესახებ წარმოდგენილია „სკოლის" დადებითი დახასიათება, თუმცა - შემდეგი რეკომენდაციებით: 1) სამომავლოდ, „კანდიდატმა" უნდა განავითაროს აკადემიური წერის კულტურა; 2) „კანდიდატმა" უნდა იმუშაოს სემინარული მუშაობისას დაშვებული მცირე შეცდომების გამოსწორებაზე და წერილობითი უნარების უფრო მეტად განვითარებაზე.

2.11. „კანდიდატი" ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

2.12. საჯარო მოსმენის დროს „კანდიდატის" პასუხები „საბჭოს" წევრთა ზოგად და სამართლებრივ შეკითხვებზე იყო თანმიმდევრული, დასაბუთებული და სრული. „კანდიდატმა" გამოავლინა ზეპირი კომუნიკაციის კარგი უნარი, ასევე - მოქმედი კანონმდებლობის ძალიან კარგი ცოდნა.

3. „კანდიდატის" შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

3.1. კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით ნებისმიერი კანდიდატის შეფასებისას, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, თუ წარმოდგენილი არ არის ამ პრეზუმფციის გამაქარწყლებელი, სანდო ინფორმაცია.

3.2. „კანდიდატის" შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია (იხ: ზემოთ, მე-2 პუნქტი) არ აქარწყლებს აღნიშნულ პრეზუმფციას, რის გამოც მივიჩნიე, რომ „კანდიდატი" სრულად აკმაყოფილებს „კანონის" 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ 4-ვე მახასიათებელს (ა) „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი"; ბ) „დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა"; გ) „პიროვნული და პროფესიული ქცევა"; დ) „პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია"); შესაბამისად, გავაკეთე „კანონის" 35[1] მუხლის

მე-15 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დასკვნა: „კანდიდატი“ სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

4. „კანდიდატის“ შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

4.1. „კანონის“ 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მახასიათებლის - „სამართლის ნორმების ცოდნის“ - მიხედვით „კანდიდატს“ ვანიჭებ 23 ქულას.

4.2. „კანონის“ 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მახასიათებლის - „სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის“ - მიხედვით „კანდიდატს“ ვანიჭებ 23 ქულას.

4.3. „კანონის“ 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მახასიათებლის - „წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარების“ - მიხედვით „კანდიდატს“ ვანიჭებ 17 ქულას.

4.4. „კანონის“ 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მახასიათებლის - „პროფესიული თვისებების“ - მიხედვით „კანდიდატს“ ვანიჭებ 15 ქულას.

4.5. „კანონის“ 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მახასიათებლის - „აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა“ - მიხედვით „კანდიდატს“ ვანიჭებ 5 ქულას.

4.6. „კანონის“ 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მახასიათებლის - „პროფესიული აქტივობა“ - მიხედვით „კანდიდატს“ ვანიჭებ 5 ქულას.

4.7. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, საერთო ჯამში, „კანდიდატს“ ვანიჭებ 88 ქულას.

დიმიტრი გვრიტიშვილი